



დისტანციური სასწავლო კურსი „თანამონაწილეობითი შეხვედრის ფასილიტაცია“

მრავალი სისტემური საკითხის განხილვა და სათანადო გადაწყვეტილების ძიება, როგორც წესი, თანამონაწილეობითი პროცესის ხასიათს ატარებს. ჯგუფურ მსჯელობას და კოლექტიურ შემოქმედებას რიგი უპირატესობა გააჩნია, იქნება ეს მოვლენის მრავალ, განსხვავებულ პერსპექტივაში გააზრება თუ ყველა მხარისათვის მისაღები მოქმედების გეზზე შეთანხმება. ჯგუფური მუშაობა სავსებით რთული ფენომენია. წარმატებისათვის აუცილებელია იგი იყოს ორგანიზებული და მიზანმიმართული. ფასილიტაცია აერთიანებს სხვადასხვა მეთოდს, რომელიც ზრდის ჯგუფური მუშაობის ეფექტურობასა და პროდუქტიულობას, ხდის პროცესს კომფორტულს მონაწილეებისათვის.

დისტანციური სასწავლო კურსი „თანამონაწილეობითი შეხვედრის ფასილიტაცია“ ფარავს როგორც კონცეპტუალურ საკითხებს, დაკავშირებულს ფასილიტაციასთან, ასევე გამოყენებით მეთოდებს, რომლებსაც მიმართავს ფასილიტატორი შეხვედრის დროს.

კურსის ამოცანაა მონაწილეს არა მხოლოდ ესმოდეს ფასილიტაციის არსი, არამედ დაეუფლოს პრაქტიკულ ხერხებს, რომლებიც დაეხმარება მას გაუწიოს ფასილიტაცია თანამონაწილეობით პროცესებს და იტვირთოს პასუხისმგებლობა სამუშაო შეხვედრის მართვაზე. კურსი აერთიანებს წასაკითხ და ვიზუალურ მასალას, თვითშეფასების სავარჯიშოებს. კურსის გავლა არ ითხოვს რაიმე წინაპირობას და იგი გათვლილია ყველასათვის, ვისაც სურს დაეხმაროს ადამიანებს მათ მიერ გამართული სამუშაო შეხვედრები იყოს შედეგიანი და სასიამოვნო.

კურსი შეიქმნა სოციალური ინოვაციების პლატფორმის პროგრამის ფარგლებში. პროგრამას მხარს უჭერს შვეიცარული ორგანიზაცია HEKS-EPER.